F76 N460

... მარქსის სახ. საქ. ... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 37 (248). ფასი 30 კაპ.

ვემზადოთ დიდი თარიღისათვის

მხოლოდ ერთი თვე გვაშორებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავს, იმ უდიდესი აქტის წლისთავს, რომლითაც არა მარტო საბჭოთა ხალხების, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ ფართო გზა გაუხსნა მილიონების შემოქმედებას. სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლებულმა ხალხებმა ამ 25 წლის მანძილზე შექმნეს ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხთა სტალინური მეგობრობა, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის განუყრელი თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის მეოხებით შეიქმნა უძლიერესი სოციალისტური ინდუსტრია, დიდად ნაყოფიერი სოციალისტური მიწათმოქმედება, შეიქმნა ყველა პირობა საბჭოთა ხალხის კულტურული და ბედნიერი ცხოვრებისათვის.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა ჭეშმარიტად გადაიქცა მთელი პროგრესიული და თავისუფლებისმოყვარე მშრომელი კაცობრიობის დასაყრდენ ციხე-სიმაგრედ მის ბრძოლებში ხალხთა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

15 თვეზე მეტია უკვე, რაც ოქტომბრის დიდი რევოლუციით შექმნილ ახალ ქვეყანას, ჩვენს აყვავებულ სოციალისტურ სამშობლოს გაცოფებული ნადირის სისასტიკითა და დაუნდობლობით ებრძვის შუა საუკუნეების ბნელეთი, ფაშისტური რეაქცია, რომელსაც სიკვდილი და განადგურება, სიდატაკე და მონობა მოაქვს. უკვე წელიწადზე მეტია მძვინვარებს პირსისხლიანი ჰიტლერის მიერ დანთებული ხანძარი ჩვენი წმინდა სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში, ცეცხლი ნთქავს 25 წლის ჩვენი დაძაბული შრომით შექმნილ დოვლათს და სიმდიდრეს. გერმანელი ოკუპანტების უღელქვეშ გმინავენ ჩვენი დები და ძმები. საბჭოთა ადამიანების სულის შემხუთველ ბნელ საპყრობილედ გადააქციეს ფაშისტმა არამზადებმა მათ მიერ დაპყრობილი ადგილები. სასიკვდილოდ განგმირული ცოფიანი ფაშიზმი ლამობს ასეთივე ხვედრი მოუმზადოს ყველა ჩვენს რესპუბლიკას, ყველა ჩვენს საბჭოთა ხალხს. უამრავი მსხვერპლის ფასად, გორებად დადგმულ თავის ჯარისკაცთა გვამებზე მტერი ჩვენი ქვეყნის სიღრმისკენ მოიწევს, ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, ხელთ იგდოს ვოლგის სანაპიროები, ხელთ იგდოს ჩვენი სამშობლოს მარგალიტი—კავკასია მისი ულეველი სიმდიდრით.

ასეთ მძიმე ვითარებაში, ასეთ განსაცდელში ხვდება ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის 25 წლისთავს. სერიოზული საშიშროება, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს, არა თუ არ აძაბუნებს, პირიქით, ამაღლებს და აძლიერებს საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფას, საბჭოთა ადამიანების სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსათვის.

ამ ზაფხულს დაწყებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის ინიციატივით წინაოქტომბრო დღეებში ახალ უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ საყოველთაო მოძრაობაში ჩაებნენ უფართოესი მასები. ჩვენი მეურნეობის ყველა რგოლი კისრულობს ახალ დამატებით ვალდებულებებს იმ მიზნით, რომ გააძლიეროს, გაადიდოს ფრონტისათვის დახმარება, დააჩქაროს მტრის უკუქცევა, მისი დამარცხება და განადგურება.

ამ იშვიათ პატრიოტულ აღტყინებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოს საბჭოთა მწერლობამ. წინაოქტომბრო დღეებში უფრო ხშირად, უფრო ძლიერად უნდა გაისმოდეს მწერლის გამამხნევებელი და წამახალისებელი სიტყვა ყველგან — სამხედრო ნაწილებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში. კვლავ უნდა შესდგნენ და ამოქმედდნენ მწერალთა ბრიგადები, უნდა გამომუშავდეს მათთვის ახალი პროგრამები, უნდა დაიწეროს ახალი მხატვრული ნაწარმოებები, ლექსები, ნოველები, მხატვრული ნარკვევები ამ ახალი გმირული ფაქტების მიხედვით, რომლებითაც სავსეა ყოველი დღე ჩვენი მებრძოლებისა ფრონტზე, ყოველი დღე ჩვენი სტახანოველებისა საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ახალ მხატვრულ ნაწარმოებებში ასახულმა ჩვენი მებრძოლების შეუპოვრობამ და სტახანოველთა შრომითმა სიმამაცემ დეე შთააგონოს და ახალ საგმირო საქმეებისათვის დარაზმოს ჩვენი ქვეყნის პატრიოტები.

ამ თავითვე უნდა გავშალოთ მუშაობა ოქტომბრის 25 წლისთავის აღსანიშნავ საღამოებისათვის. ამ საღამოებში მონაწილეობის მისაღებად უნდა მოვიზიდოთ ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ყველაფერი, რაც ღირსეულად გამოხატავს ოქტომბრის დიად მონაპოვარს, ყველაფერი, რაც კი გამოდგება პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად და გასაძლიერებლად, საბჭოთა პატრიოტების საბრძოლო და შრომითი ენტუზიაზმის ასამაღლებლად, გამოფენილ და გამოტანილ უნდა იქნას დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილ საღამოებზე.

მთელმა ჩვენმა ორგანიზაციამ, მისმა ყოველმა აქტიურმა წევრმა, მთელმა ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავისათვის მზადების დღეები გადაიქცნენ ჩვენი ძალების მობილიზაციის დღეებად გერმანელ ოკუპანტთა სრულ განადგურებისათვის ვოლგისა და დონის ნაპირებზე, კავკასიისა და ლენინგრადის მისადგომებზე.

◇◇◇

ქართველები ბრძოლის ველზე

სიმონ ჩიქოვანი

კავკასიონის ყინულით მოჭედილი მწვერვალები მიგვაცილებენ, თითქო მთები დაძრულან და წინ მიიწევიან ჩრდილოეთ კავკასიაში. არ გვშორდებიან მაღალი წინაპრები: უკვე თვალუწვდენელ ჭალაში მივეშურებით, მაგრამ მთები მოგვყვებიან, არ ეკარგვიან მხედველობას და შორიდან გვამხნევებენ, თითქო გვიმღერიან გამარჯვების სიმღერას თუ ლილეოს. ეს მთები ჩვენი წინაპრების თანამგზავრები არიან, ჭირში და ლხინში შველოდნენ ქართველებს და ქართული შეძახილი შეულახავად მოუტანიათ დღემდე. საქართველოს დარაჯებად მდგარან ისინი, რათა მტერს არ შეელახა და არ გაეთელა ჩვენი მამული, — მათ ხეობებში აუჩეხიათ ქართველებს შემოსეული ურდოები.

დღესაც ჯავშანს ისხამენ მაღალი მთები, ისინი პირდაპირ უცქერიან მოახლოვებულ საშიშროებას და ამხნევებენ ბრძოლის ველზე მიმავალ მებრძოლებს.

მახლობელ მდინარის პირად, ჩვენი მებრძოლები უტევენ მტერს და გრძნობენ მთების სიახლოვეს. მთათა შორის გაშლილ ტაფობებზე მათი კერები გიზგიზებენ და ქედის მიღმა მოფუსფუსე დედები ეძახიან ვაჟკაცებს.

რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები—სტალინური მეგობრობით შეკრული ხალხთა შვილები, მთაში და ბარში აღზრდილი გმირები, ერთგვარი სიყვარულით იცავენ ამ მთების მისადგომებს. ფაშისტი ბარბაროსების ჩექმამ ვერ შელახოს მაღალი სისპეტაკე მთებისა, შერჩება სიმაღლე მწვერვალებს! საუკუნეთა მანძილზე მაღლა შენახული სიამაყე და ვაჟკაცობის გრძნობა საბჭოთა მეომარს მიუძღვება ბრძოლაში.

მივექანებით თვალუწვდენ ჭალაში. მუქი სიმინდის ყანები შრიალებენ, ხოლო მზესუმზირას დახრილი თავები ირხევიან. მართალია, მთები შორს არიან, მაგრამ მთიდან გადმოსროლილი მდინარეები ვაკეშიც ინარჩუნებენ გაქანების ძალას და შხუილით მიჰქრიან მინდვრებში. რამდენიმე დღის წინად გერმანელები თარეშობდნენ ამ ადგილებში, მათი ტანკებით დაჯეჯნილია ყანები, დათხრილია ეზოები და გაპარტახებულია ოჯახები. ჩვენი ვაჟკაცების მედგარი დარტყმით გერმანელები გადარეკილ იქნენ მდინარის გაღმა და რამდენიმე სოფელი განთავისუფლდა მიხაკისფერ ჭირისაგან. სოფელი ისევ წელში გაიმართა, მოხუცებისა და ბავშვების ხმები კვლავ გაისმა ჭიშკრებთან, კერა ისევ გაღვივდა და კვამლი, ნიშანი ოჯახური ცხოვრებისა, ძველებურად აღიმართა სოფლებზე.

გერმანელების მიერ გავერანებული ეზოები სუფთავდებიან და ბავშვებით დახუნძლული ფორანი ჭრიალით ბრუნდება სოფელში. მოისმის ეზოებს შორის გადაძახება. ხოლო მოშორებით ქვემეხების გრიალია და ნაღმმტყორცნელების შემზარავი ზუზუნი. მდინარის გაღმა მდებარე ტყიდან მოისმის ხეების ლაწანი და ამოვარდნილი კვამლი ჰაერში იშლება. ჩვენი ქვემეხები ცეცხლით უპასუხებენ გერმანელთა მონაღმეებს. რამდენიმე ადგილას შევარდება ყუმბარა, და ჰიტლერელთა შხამიანი ბუნაგი ამოგდებული რჩება. დაიგრიალებს ქვემეხი და ყუმბარით ავარდნილ ხმაურობას მოჰყვება მოულოდნელი მდუმარება. ირხევიან ყუმბარებით შეტრუსული ხეები და შორს მიჰქრის ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი, რათა გრიგალივით დაატყდეს ოკუპანტთა ბანაკს

ჩვენები იბრძოდნენ მედგრად და შეურყევლად, მთის გაღმა ეგულებოდათ დედები და დები და ჩვენი მამულის გასათელავად წამოსულ ურდოს ეკვეთნენ გულადები. შედრკნენ გერმანელი მტარვალები და იბრუნეს პირი. ჩვენმა საარტილერიო შენაერთმა ზუსტი დარტყმით ფაშისტთა სატანკო დივიზიის შტაბს ცეცხლი გაუჩინა, და სატანკო დივიზიის გენერალი სიცოცხლეს გამოეთხოვა. მიხაკისფერი ცხოვრება საბჭოთა მიწაზე დაასრულა გენერალმა.

ჩვენ მივადექით სოფლის განაპირს. აქ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა საფლავია. საფლავი შემორაგულია აგურით და შენახულია სუფთად. სასაფლაოს ატყვია ძმობილური და მზრუნველი ხელი. საფლავებზე ყვავილებია მოფენილი. თითქო გმირთა სამარეზე მამულისადმი თავდადების გრძნობა შუქივით ანთია. აქ განისვენებენ სამამულო ომის გმირები: კაპიტანი ბუხაიძე და პოლიტხელი შუბითიძე. ეს საფლავები მათი მებრძოლი ამხანაგების მარჯვენით არის ამოთხრილი. ძმების სიყვარული და მეგობრული ზრუნვა ჰყვავის მამაცთა სასაფლაოზე. აი კაპიტანი ბუხაიძე, შეუდრეკელი და თავდადებული მეომარი, მიუძღოდა თავის მებრძოლებს და ერთი წამითაც არ შემდრკალა. ორჯერ დაიჭრა, მაგრამ გამარჯვების წყურვილით შეპყრობილმა არ მიატოვა ბრძოლის ველი, ჭრილობით გამოწვეული ტკივილი ბრძოლის სურვილით გააყუჩა და წინ გასწია „ვაშას" ძახილით. მამაცი კაპიტანი მესამე ნაღმმა სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ მან დასტოვა ცოცხალი ხსოვნა მოძმეთა შორის. ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ იგონებდნენ მებრძოლები კაპიტან ბუხაიძეს და ჩონგურზე ახმიანებდნენ სიმღერას ბუხაიძის ვაჟკაცობაზე. მისი მარჯვენის მხნეობა და სიქველე სცხოვრობს სიმღერაში და, მაშასადამე, ყოველ ჩვენგანის გულშიც. საქართველო არის ქვეყანა გმირობისა და სიმღერის. დაწყვილებული მამაცობა და სიმღერა განუყრელი თვისებაა ქართველი ხალხისა, და ბრძოლის ველზედაც წყვილად ცხოვრობენ ისინი. საბჭოთა საქართველომ გამოზარდა ბევრი თავდადებული და მებრძოლი და მათი გმირობით გამოწვეული სიმღერა შენახულია ხალხის გულში, იგი ითხზება ბრძოლის ველზე და უკვდავებას უნარჩუნებს სამამულო ომში გამოჩენილ ვაჟკაცებს. მამულისათვის თავდადებულთა შორის კაპიტანი ბუხაიძე ყოველთვის მოიხსენიება.

ბუხაიძის გვერდით განისვენებს პოლიტხელი შუბითიძე, გულადი და შემმართებული პატრიოტი.

№ ნაწილზე მტერმა იერიში მიიტანა. განადგურებას უქადდა. შუბითიძე უკვე დაჭრილი იყო, მაგრამ პოლიტხელმა მიიღო ურყევი გადაწყვეტილება, გაეტეხა მტერი და დამარცხება ერგუნებინა მისთვის. არ შეიმჩნია ჭრილობა, ვაჟკაცურად დასძახა მებრძოლებს — „წინ, მამულისათვის, სტალინისათვის" და პირველი გადაეშვა ფაშისტთა შესამუსრავად. პოლიტხელის ცეცხლიანი ხმით აღფრთოვანებული ამხანაგები ეკვეთნენ მტერს, და ფრიცებს თვალი გაუტყდათ, შედრკნენ ისინი და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ამ ბრძოლაში მეორედ სასიკვდილოდ დაიჭრა შუბითიძე და ჩრდილოეთ კავკასიაში მოძმე ხალხის კერაზე თავის სისხლით დასწერა მან, რომ „თავდადება მამულისათვის არის ქართველის პირველი გრძნობა".

ამავე ბრძოლაში თავი ისახელეს მეთაურმა ბერაძემ, მეთაურმა ბიქაურმა და მსროლელმა სტეფანაძემ. ისინი იბრძოდნენ ისე, როგორც შეჰფერის ნამდვილ საბჭოთა მებრძოლებს და დღესაც გაორკეცებული ძალით მიაქვთ მათ მტერზე იერიში. მსროლელი სტეფანაძე ორჯერ დაიჭრა და სანიტარებმა ძალით გამოიყვანეს ბრძოლის პირველ ხაზიდან, სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს და უნდა გადაეგზავნათ მახლობელ ქალაქში. მაგრამ სტეფანაძე სამკურნალო ბანაკში არ აღმოჩნდა: ჭრილობის შეხვევის შემდეგ თავდადებული მებრძოლი უჩინარად გაბრუნებულიყო ბრძოლის ველზე და ისევ განაგრძობდა შეტევას მტრის წინააღმდეგ. აგრე ერთგულად და ერთსულოვნად იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები და რამდენიმე მნიშვნელოვანი და მამულისათვის განუყრელი ადგილი დაუბრუნეს საბჭოთა სამშობლოს.

დღეს ახალი საბრძოლო ამოცანა აქვთ დაკისრებული ქართველ მებრძოლებს. ქართველი მეომრები რუსებთან და უკრაინელებთან ერთად გაფაციცებით ემზადებოდნენ გუშინ. პოლკოვნიკი და სამხედრო კომისარი არიგებდნენ და ამხნევებდნენ მეომრებს: აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, საქართველო არ შეარცხვინოთ, სტალინის სამშობლო ასახელეთ — თვალი არ გაგიტყდეთ!

ალიონზე ჩვენი ბიჭები ხიდაყრილ მდინარეზე გადავიდნენ და მოულოდნელად დაატყდნენ მტერს. მდინარის გაღმა გადაიტანეს გამარჯვების წყურვილი და გულადობა. „ვაშას" ძახილით და ავტომატების ცეცხლით დაესხნენ ჰიტლერელთა ბანაკს. მოულოდნელი იყო და ვაჟკაცური ჩვენების დარტყმა. ჰიტლერელები შეეცადნენ ჩვენი ვაჟკაცების შეჩერებას, მაგრამ ვერ შემაგრდნენ, მიატოვეს მრავალი მოკლული და დაიხიეს.

ტანკში და ჯავშანში ჩამჯდარი მტერი ვერ გაუმაგრდა მამაცთა შეტევას. მაიორი გეთია და კომისარი გვალია არტილერიის ზუსტი ცეცხლით გზას უკაფავდნენ მდინარეზე გადასულ მებრძოლებს, გერმანელთა ნაღმმტყორცნელები სეტყვასავით ჰყრიან ნაღმებს და ხშირად იცვლიან მიზანს. „მე მეძებენ ფაშისტები"—ამბობს მაიორი, — ათვალიერებს თავის საარტილერიო წერტებს და აძლიერებს ქვემეხთა ცეცხლს. გერმანელების ნაღმმტყორცნელები და ქვემეხები ნამდვილად ეძებენ ჩვენი არტილერიის ბუდეებს. მართლაც, ერთი მტრის ცეცხლწამკიდი ყუმბარა ეცემა მეზობელ საარტილერიო ნაწილში. ყუმბარა შხუილით ვარდება სანგართან, სადაც ქვემეხის ყუმბარებია დაწყობილი. ერთი წუთი და მთელი უბნის აფეთქებაა მოსალოდნელი, მაგრამ არ დაიბნა წითელარმიელი ნიკოლოზ ფაცაცია, იგი ელვის სისწრაფით სწვდა ყუმბარას და გოლიათური ძალით გადაისროლა შორს, ყუმბარა გასკდა, მაგრამ გადარჩა სამხედრო საჭურველი და გადარჩნენ მებრძოლები. სიკვდილი შორს არის გადასროლილი, ჩვენი საარტილერიო განაყოფი ცოცხალია და განაგრძობს მტრის სანგარზე შეტევას.

მდინარის გაღმა ბრძოლა გრძელდება მეტი სისასტიკით. ბრძოლაში დაიჭრა კაპიტანი იაშვილი. ჭრილობა თვითონვე შეიხვია და არ მიატოვა ბრძოლის ველი. „ვაშას" ძახილით მიუძღვება მებრძოლებს და ეუფლება სტრატეგიულ მნიშვნელოვან ზღუდეს.

ბრძოლა მძაფრდება, მწუხრი ჩამოწვა. ცის დასავლეთზე ელავენ ფერადი ტყვიები და მოწყვეტილი ვარსკვლავივით ცვივიან მახლობელ ტყეში. ხშირ-ხშირად ნათლდება ცის კიდური და ფაშისტთა ნაღმები სკდებიან დამაყრუებელი ხმაურით.

საღამოთი გერმანელებს მოუვიდათ მაშველი ჯარი და ტანკები. მიუხედავად დიდი დანაკლისისა, ფაშისტები შეტევაზე გადმოვიდნენ და ჯავშნებით დაცული ცეცხლიანი იერიში მოიტანეს. მტერი სიმრავლემ გაათამამა, მაშველი ნაწილების და ტანკების შეწყობით უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ არ შედრკნენ ჩვენი მებრძოლები. კაპიტანი იაშვილი და პოლიტხელი კანკავა ვაჟკაცურად იბრძვიან და ამხნევებენ მამულის ერთგულებს. ტყვიისმფრქვევთა და ავტომატთა შეწყობილი კაკანი გვიახლოვდება, ჰაერი იჟღინთება კვამლით და თუნუქივით ხმოვანი ხდება.

დაღამდა, წყვდიადი გადაეფარა თვალუწვდენელ ჭალას, მინელდა ბრძოლა. მაიორმა გეთიამ ნაბადი მოიხურა, ცხენს შემოახტა და ღამის წყვდიადში ჩაიმალა.

ჩვენ ვზივართ პატარა ოთახში, სანათი ბჟუტავს. მდუმარებაა ირგვლივ. კარი იღება და ოთახში შემოდიან ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მეთაურები. ისინი შემოდიან დამშვიდებული ნაბიჯით. დაღლილნი, მაგრამ ვაჟკაცური იერით, თითქო თოფისწამლით შერუჯული და ბრძოლაში მონათლული ძველი ქართველები ბრუნდებიან სარდლის კარავში. უნდა მოითათბირონ და დილით შეტევა განაგრძონ. ისინი შემოდიან უხმოდ და სხდებიან ირგვლივ. სანთელი ბჟუტავს და ჯმუხა ვაჟკაცები ემზადებიან თათბირისათვის.

საქართველოს წარსული შემოჰყვა მათ და მამასავით დასცქერის მეომრებს.

— არ შევარჩენ, გადაუხდი სამაგიეროს გერმანელებს! — გვეუბნება დაბალი ხმით, შურისძიების გრძნობით გაღენთილი მაიორი კაციტაძე. მისი მოღუშული სახე და მუხის კუნძივით შეკრული სხეული ბრძოლისათვის განმზადებულია. მხოლოდ გამარჯვებისათვის არის იგი მოწოდებული და შეურყეველია მებრძოლის გადაწყვეტილება. ამგვარად შეიარაღებული მეთაურები გარიჟრაჟს ელიან.

ალიონზე კვლავ ახმაურდა ბრძოლის ველი. ნაღმსატყორცნთა და ქვემეხთა გრიალი არემარეს მოედვა. ტანკები აგუგუნდნენ, ერთხმივი ყიჟინა კვლავ გაისმა ბრძოლაში და ალიონიდანვე გაცხარდნენ მეომრები. ტყვიამფრქვევის, ავტომატებისა და შაშხანების სროლამ დაცხრილა ჰაერი და გერმანელთა ცეცხლი გაძლიერდა. ორმოცზე მეტი გერმანული ტანკი წამოვიდა საბჭოთა მებრძოლების წინააღმდეგ. ფაშისტური ურჩხულები მოემართებიან და ცეცხლით ცდილობენ შემორკალონ ჩვენი მებრძოლები. პოლიტხელი კანკავა დადის სანგრებში და ამხნევებს მებრძოლებს.

მალე პირველი წყება მტრის ტანკებისა გამოჩნდა და სასტიკი ცეცხლი დაანთო. კანკავამ დაინახა პირისპირ საშიშროება, მაგრამ არ დაიბნა, გააფრთხილა ბიჭები და ბრძოლა განაგრძო. შვიდი ტანკი შემოიჭრა მის განლაგებაში, ხოლო ტანკის საწინააღმდეგო თოფის მქონე წითელარმიელი მეზობელ სანგარში დაიჭრა და თოფი გაუვარდა ხელიდან. კანკავა ვეფხვივით გადახტა თავის სანგრიდან და დაჭრილის თოფი მოიმარჯვა. პირველი გასროლა და შეტორტმანდა მტრის ტანკი. მეორე გასროლა და გაქვავდა მტრის ურჩხული.

— მედგრად, ბიჭებო!—იძახის კანკავა და ცეცხლითვე უმკლავდება ტანკებიდან წამოსულ ცეცხლის ტალღას.

— მედგრად, ბიჭებო!—იძახის ლეიტენანტი რუსაძეც და ხელყუმბარის ცეცხლით ეგებება მტრის ტანკებს და მისი ამხანაგები ტანკებზე ამოფარებულ ქვეითა ფაშისტებს სპობენ.

ცეცხლი არ ნელდება, მიჰქრიან ხელყუმბარები და ტანკის საწინააღმდეგო ყუმბარები გრიალებენ ფაშისტურ ჯავშნებზე. ჯავშნები იფლითებიან და ფაშისტები იხოცებიან. ექვსი ტანკი განადგურებულია და ორასორმოცდაათი ჰიტლერელი მოსპობილი. რუსაძე და მისი ამხანაგები ვეფხვებივით გააფთრებულნი განაგრძობენ შეტევას. გერმანელების ცეცხლი ნელდება და გადარჩენილი ფრიცები იხევენ უკან.

საღამო ჟამს დავბრუნდით პირველ ხაზიდან და ძლიერ მყუდროდ მოგვეჩვენა ბრძოლის ველს მცირედ დაშორებული ჩვენი სამყოფი ადგილი. ქვემეხების გრიალი კიდევ აღწევდა ჩვენამდი და ცის დასავლეთზე ცეცხლი არ ნელდებოდა, მაინც სოფელში მყუდროება იყო და ხმაურობა წუთიერად შემოიჭრებოდა ხოლმე. ყოველი ყუმბარის შემდეგ ისევ დუმილი მეფდებოდა ირგვლივ. კავკასიონის მწვერვალები—იალბუზი და მყინვარი ამაღლებულიყვნენ და თითქო არღვევდნენ გამეფებულ მყუდროებას. მახლობელ ყანებთან მოულოდნელად მოისმა ქართული სიმღერა. დაბალი, მაგრამ მკვეთრი ხმით მღეროდნენ წითელარმიელები უძველეს ქართულ სიმღერას და ჩრდილოეთ კავკასიაში აფხიზლებდნენ ბუნებას გმირული შეძახილით:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა", —

გუგუნებდა სიმღერა.

ოდესღაც საქართველოს ღირსების ასამაღლებლად ქართველი ხალხის შთაგონებას გორგასლანის ნაბიჯი იალბუზზე დაუდგამს და მწვერვალზე აუწევია მამულიშვილის უკვდავი სახე. იალბუზამდე აუმაღლებია ხალხის შთაგონებას თავდადებული ქართველი მეომარი, რომ კიდით-კიდემდე დაენახა ყველას ქართველი ხალხის მშვენება და სიმამაცე.

„იალბუზზე ფეხი შედგა, ქართლის მტერი გადარეკა", — გუგუნებდა სიმღერა. თითქო ეძახდა ვაჟკაცებს მიხაკისფერ ურდოების მოსასპობად. წინაპართა აჩრდილები დგებოდნენ მთებიდან და კავკასიონიდან გადმოსროლილი მდინარეები მიაქანებდნენ წინაპართა ხმებს ქართველ მეომრებისაკენ.

წინ, ქართველებო, მთებიდან მოისმის ლაშქრული სიმღერა.

მოქმედი არმია.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე"

„ფედერაციამ" გამოსცა სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული „სიმღერა დავით გურამიშვილზე". კრებული შეიცავს ლექსების ციკლს, რომლებიც შეეხებიან დიდ ქართველ პოეტსა და მის ცხოვრებას. კრებული იხსნება ლექსით—მიმართვით „უკრაინელ პოეტებისადმი". მას მოჰყვება: „გურამიშვილის სურათზე", „ორმოში", „დავით გურამიშვილი წვიმაში", „დავით გურამიშვილის აუგი უფლისადმი", „მეორე აუგი", „კალოს ხილვა", „კალოზე მისვლა", „პირველი ძმობილი", „ის გამღერებდა", „პერანგის ნაწილი", „გურამიშვილის გოდება ვახტანგის გარდაცვალების გამო", „დავით გურამიშვილის მჭმუნვარება, ქართლის ჭირი", „დაბინავება უკრაინაში", „გუგულები", „დაძრული ბალი", „სამფეხიანი ხმა", „დავით გურამიშვილის მიერ კილოს და ზმის ძიება", „ომში წასვლა და გამოთხოვება", „მაგდებურგის ციხეში", „შინ დაბრუნება", „ოცნება წისქვილზე", „მეწისქვილე", „ცხოვრება წისქვილში", „საბას აჩრდილი", „აბა, კრემლი და გორის ციხე", „ბუნების სარწყავი", „სატრფიალო", „იჭვი და გალობა", „დავით გურამიშვილის გაბაასება სიკვდილთან", „მეორე გაბაასება სიკვდილთან", „უცნაური სურვილი", „ცოცხალი მკლავი", „დავით გურამიშვილის გაბაასება საწუთროსთან", „სამშობლოში დაბრუნება", „უკანასკნელი დღე", „მინაწერი".

კრებული შეიცავს 79 გვერდს და ღირს 7 მან. 30 კაპ.

„გიორგი მეექვსე"

საბლიტგამმა გამოსცა გრიგოლ აბაშიძის პოემა „გიორგი მეექვსე". პოემას ეპიგრამად წამძღვარებული აქვს ამხანაგ **ლ. ბერიას** სიტყვები: „ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას".

„გიორგი მეექვსე" შეიცავს 74 გვერდს და ღირს 5 მან.

„წერილები"

„ფედერაციამ" გამოსცა ლევან ასათიანის წიგნი „წერილები", სადაც მოთავსებულია სამამულო ომის პერიოდში ჩვენს პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი წერილები. წიგნში ავტორს შეუტანია: „ქართული პოეზიის დიდი ტრადიცია — პატრიოტიზმი", „ქართველი გმირი ქალები", „ილია ჭავჭავაძე და გერმანიის მილიტარიზმი", „ილია ჭავჭავაძე რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობაზე", „დავით გურამიშვილი — პრუსიელებთან ომის მონაწილე" და „ინგლისი და საქართველო".

წიგნი შეიცავს 47 გვ. და ღირს 5 მან.

დიდი პატრიოტული ფილმი—„გიორგი სააკაძე"

დ. გივარგილიანი

მთელ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებულის წარმატებით უჩვენებენ თბილისის კინო-სტუდიის მიერ გამოშვებულ დიდად პატრიოტულ-გმირული სულის განმამტკიცებელ და მაღალმხატვრულ ფილმს—„გიორგი სააკაძეს". ეს ფილმი აცოცხლებს ქართველი ხალხის ისტორიის ერთ-ერთ უმძაფრეს და ურთულეს პერიოდს. გიორგი სააკაძის სახე შევიდა იმ ჩვენი სახელოვანი წინაპრების გალერეაში, რომლებიც გვინათებენ საუკუნეთა სიღრმიდან და იძლევიან სამშობლოს სიყვარულისა და დაცვის ბრწყინვალე მაგალითებს.

გიორგი სააკაძე თავისი ეპოქისათვის უაღრესად პროგრესიული სახელმწიფო მოღვაწე იყო. თავის პიროვნებაში, უსაზღვრო ვაჟკაცობასთან ერთად, იგი აერთიანებდა თავისებური პოლიტიკოსისა და სამხედრო სტრატეგის თვისებებს. გიორგი სააკაძე ცდილობდა თავის მოღვაწეობაში ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ინტერესების ორგანულად შერწყმას, ერთმანეთთან დაკავშირებას. თავისი პოლიტიკით მას ძირითადად ორი ამოცანის გადაწყვეტა სურდა: პირველი—საქართველოს ერთმთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად გაერთიანება და მეორე—ფეოდალთა უფლებების შეკვეცა და გლეხობის სოციალური მონობის შემსუბუქება. სააკაძე მიზნად ისახავდა საქართველოს გადარჩენას გარეშე და შინაური მტაცებელთა კლანჭებისაგან. იგი გამოსავალს ხედავდა ძლიერ, გაერთიანებულ საქართველოს შექმნაში.

თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიულ-ტერიტორიალური მდებარეობის გამო, საქართველო მუდამ გამწვავებული ბრძოლების ობიექტი იყო მოსაზღვრე თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის.

თანაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი მე-17 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური უბედურებისა იყო ფეოდალური განაპირება, სეპარატიზმი. ქართველი ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, ისინი შიგნიდან ასუსტებდნენ და ღრღნიდნენ საქართველოს ორგანიზმს. ფეოდალები მთელის რისხვით დაატყდებოდნენ ხოლმე თავს იმას, ვისაც გული შესტკიოდა ქვეყნისათვის, ვინც საქართველოს გაერთიანებაზე და სიმტკიცეზე ფიქრობდა.

ასეთი რთული ეპოქისა და ვითარების მხატვრული გახსნის ცდა გვაქვს **ა. ანტონოვსკაიას** და **ბ. ჩორნის** სცენარის მიხედვით **მ. ჭიაურელის** მიერ დადგმულ „გიორგი სააკაძეში".

ფილმში ზუსტად არის დაცული ეპოქის კოლორიტი, საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებენ ბატალური სცენები.

ა. ხორავა წარმოგვიდგენს დიდი მხედართმთავრის ჩამოყალიბებულ, გამოკვეთილ სახეს. სააკაძე მდიდარი ბუნების ადამიანია. ვაჟკაცობასა და გმირობასთან ერთად მას ახასიათებს რაინდული ქცევა, კეთილშობილება და ნათესაური გრძნობა. იგი გვევლინება მოყვარულ მამად, ძმად და ერთგულ მეუღლედ. ხორავას მიერ განსახიერებულ სააკაძეში მაყურებელი ხედავს უშიშარ მებრძოლს, ქვეყნისა და ხალხის მოსარჩლეს, დიდი ადამიანური კეთილშობილების მატარებელ პიროვნებას. სააკაძეს ა. ხორავა გვიჩვენებს დაუსრულებელი ბრძოლის მატარებელ პიროვნებად. მაყურებლის წინაშე წარმოსდგება სახე უდრეკი რაინდისა, ბუნებით ჭკვიანი და სახელოვანი მეომრისა, რომელსაც ვერ სძლევს, ვერ იმორჩილებს ვერავითარი უბედურება.

ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ჩამოყალიბებულ სახეებს ქმნიან **შ. ღამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, ა. ომიაძე, კ. მაჭარაძე, ს. ზაქარიაძე** და სხვანი. განსაკუთრებით მკვეთრად არის ასახული შადიმან ბარათაშვილი, რომელსაც დიდი მხატვრული სიმძაფრით და უშუალობით ანხორციელებს **ს. ზაქარიაძე.** შადიმან ბარათაშვილი წარმოადგენს კონდენსირებულ სახეს ფეოდალური არისტოკრატიის რეაქციული იდეოლოგიისა მე-17 საუკუნის საქართველოში. დახელოვნებული ინტრიგანი და მაბეზღარი, შადიმან ბარათაშვილი იყო დამწყები და სულის ჩამდგმელი ყველა იმ ბოროტებისა, რაც მიმართული იყო სააკაძის წინააღმდეგ. მან მოაწყო ისე, რომ ლუარსაბს მტრად გადაჰკიდა მისი ტახტის ბურჯი—სააკაძე.

შაჰ-აბაზის რთული პიროვნების ისტორიულ-მხატვრული სახე დიდის დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი **ა. ვასაძის** აზრიან და დაკვირვებულ თამაშში.

ქალთა სახეებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ **ვ. ანჯაფარიძე** (რუსუდანი, გიორგი სააკაძის ცოლი) და შემდეგ **ლ. ასათიანი** (თეკლე, გიორგი სააკაძის და, ლუარსაბის ცოლი). ვ. ანჯაფარიძე ტრაგიული გამძაფრებით აყალიბებს ქართველი ქალის გმირულ სახეს.

ფილმში შედარებით მკრთალად და ზოგ შემთხვევაში ყალბადაც გამოიყურება მეფე ლუარსაბი (ს. ბაღაშვილი).

მდიდარი და მრავალფეროვანია **ა. ბალანჩივაძის** მუსიკა, იგი ორგანიულადაა შერწყმული ფილმის სიუჟეტთან.

„გიორგი სააკაძე" ჩვენი კინოწარმოების სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს, იგი ზრდის მაყურებელში სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის უკეთილშობილეს გრძნობას. მასში გადმოცემული ღრმა პატრიოტული იდეები გასაგები და მახლობელია საბჭოთა ქვეყნის გმირ მებრძოლთათვის, რომელნიც ახლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ.

ბაგრატიონის სახე რუსულ ლიტერატურაში

ტატიანა შაროევა

ქართველი ხალხის სასიქადულო შვილი პეტრე ბაგრატიონი იმავე დროს იყო დიდი რუსი ხალხის მგზნებარე პატრიოტი. თავისი უკვდავი საგმირო საქმეებით პეტრე ბაგრატიონმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ბუმბერაზ რუს ხალხთან მამაცი ქართველი ხალხის საბრძოლო თანამშრომლობას და თავგანწირული ბრძოლით ბოროდინოს ველზე ქართველი ხალხის შემდგომ თაობებს უანდერძა განუხრელი ერთგულება დიდი რუსი თანამოძმისადმი.

სუვოროვისა და კუტუზოვის ლეგენდარული თანამებრძოლის პეტრე ბაგრატიონის სახელი, რომელიც ანსახიერებს უსაზღვრო ვაჟკაცობას, სიმამაცეს, კეთილშობილებას და უანგარო თავდადებას მამულისათვის, ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით იყო მოსილი რუსი ხალხის და მისი საუკეთესო შვილების ხსოვნაში. პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვე მწერლები, აგრეთვე შემდგომი თაობის მწერლები, რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში ასახეს 1812 წლის დიდი სამამულო ომის მღელვარე ამბები, თავიანთ წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად სთვლიდნენ აღებეჭდათ შესანიშნავი მხედართმთავრის ბაგრატიონის სახეც, სახე სწორუპოვარი მეომრისა, რომლის შესახებ ბ. ბელინსკი სწერდა: „მან, სასწაულმოქმედმა გოლიათმა კავკასიაში, საქართველოს მთებში შეისისხლხორცა საუკუნებრივი ვაჟკაცობა და გმირული სიმტკიცე, გახადა ეს სიმტკიცე აუღებელი და მიუდგომელი ოჩაკოვის კედლებთან, სეტაუის მინდვრებზე, ფინეთში, დუნაის ნაპირებზე და ბოროდინოს ველზე“.

1812 წლის ოფიციალური პატრიოტული პოეზიის, მაღალფარდოვანი, რიტორიული და რამდენადმე მყვირალა სახოტბო პოეზიის ფონზე გამოირჩევიან დენის დავიდოვისა და დეკაბრისტი პოეტების ლექსები, რუსი ხალხისა და მისი დიდი სარდლებისადმი მიძღვნილი.

პოეტ პარტიზანს დ. დავიდოვს, რომლის კალამი თოფის წამლის სუნით იყო გაჟღენთილი, არა ერთხელ უთქვამს, რომ არც ერთი ადამიანის წინაშე ისე არ ვიხრი ქედს, როგორც ბაგრატიონის წინაშეო. დავიდოვის ნაწერებს შორის დაცულია ერთი მოთხრობა, სადაც ავტორი გვიხატავს ბაგრატიონს ალპებში: „აჩაღებენ კოცონებს, ისმის შორეული სიმღერა, ბაგრატიონი სწევს ჩიბუხს და ფიქრობს თავის მშობლიურ შორეულ მხარეზე. უცბად ხარბად ისუნთქავს ჰაერს ისე, როგორც ამას შვრებოდა ხოლმე ბავშვობისას თავის ტურფა ალერსიან საქართველოში“, თავის ცნობილ ელეგიაში „ბოროდინოს ველი“ დ. დავიდოვი ასე მიმართავს საყვარელ გმირს:

«О, ринь меня на бой, ты опытный в боях,
Ты, голосом своим рождающий в полках
Погибели врагов предчувственные клики,
Вождь Гомерический, Багратион великий!».

სამშობლოს მგზნებარე დამცველის, უცხოელ დამპყრობელთაგან რუსეთის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის უმამაცესი მებრძოლის ბაგრატიონის სახე ასევე აღფრთოვანებდა პოეტ დეკაბრისტ რილეევს, რომელმაც თავისი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანა მამულის კეთილდღეობას. თავის ლექსში „ძლევის სიმღერა გმირებისადმი“ რილეევი ქედს იდრეკს ბაგრატიონის წინაშე და ამბობს: „ბაგრატიონის დიდო აჩრდილო! ყოველივე შენი გამოცხადება ჰგავდა მზის სხივის აღმობრწყინებას უამინდობის ჟამს! შენ დაგვეხმარე გაგვედევნა ძლიერი მტერი ჩვენი ველებიდან, შენ დაგვეხმარე გაგვენადგურებინა მტრის ურიცხვი ურდოები, რომლებიც შემოიჭრნენ ჩვენი მიწა-წყლის საძარცვავად“. რილეევი გვიხატავს ბაგრატიონს, როგორც სარდალს, რომელიც ანსახიერებს ხალხის მოქალაქეობრივ ვაჟკაცობას.

რილეევის მსგავსად ოდოევსკიც და კიუხელბეკერიც ბაგრატიონში ხედავენ მამულისადმი ხალხის სიყვარულის ყველაზე მკვეთრ გამოვლინებას. კიუხელბეკერი სდგას თავდახრილი იმის წინ, „ვინაც დაეცა განგმირული მამულისათვის, ვით ჭაბუკი აქილევსი, მშვენიერი, გულადი, მკაცრი და ბუმბერაზი!“ მადლობის გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართავს ჟუკოვსკი თავის პოემაში „მგოსანი რუს მეომართა ბანაკში“ ბაგრატიონს, რომელიც „განიგმირა, რომ ეხსნა მოსკოვი“. ჟუკოვსკის სიტყვით, „ბაგრატიონის სახელი და დიდება მარად უკვდავი დარჩება. მამები და პაპები ეტყვიან შვილებსა და შვილიშვილებს: ისწავლეთ მისგან ბრძოლა და სიკვდილი მამულისათვის“. ფრიად საინტერესო და საყურადღებოა პოეტ იაზიკოვის დაუმთავრებელი პოემა, სადაც იგი გვიხატავს ბაგრატიონს, როგორც სუვოროვის სამხედრო კულტურაზე აღზრდილს და ამ კულტურის განუხრელად დამცველ მხედართმთავარს. იაზიკოვი აღტაცებით მიმართავს ბაგრატიონს, 1812 წლის უკვდავი დიდების შემქმნელს:

«Блажен, кто гневом упоенный,
Гулял на празднике мечей,
И вырвал дланью вдохновенной
Победу родине своей!»

მე-19 საუკუნის ოციანი წლების რუსულ სახალხო პოეზიაში განსაკუთრებული სიძლიერით გამომჟღავნდა ხალხის სიყვარული ბაგრატიონისადმი. ხალხური სიმღერების, თქმების, გადმოცემების მთავარი გმირი ბაგრატიონია. ხალხს ბაგრატიონი წარმოდგენილი ჰყავს სუვოროვის სასიქადულო მემკვიდრედ, ერთ ხალხურ სიმღერაში სუვოროვი ასე მიმართავს ბაგრატიონს:

«Еще при мне бросать ты громы научился
И лавры смело пожинал,
Ко славе ревностно стремился
И я наперстником тебя избрал».

ხალხის ამ არაჩვეულებრივ სიყვარულს ბაგრატიონისადმი მოწმობს გერცენიც. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას გერცენი, რომელმაც საკუთარ თავზე განიცადა ნიკოლოზ პირველის დროინდელი რეაქციის მთელი სიმძიმე, ხშირად მიმართავდა 1812 წლის ჰეროიკულ ეპოპეას. პარტიზანებისა და მხედართმთავრების სახეში გერცენი ხედავს თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტებს, რომელთა ხსოვნაც კლასის ფერფლივით უნდა აღაგზნებდეს თანამედროვეებს ბრძოლისათვის. გერცენი სწერს დრამას, სადაც სუვოროვის გვერდით გამოჰყავს ბაგრატიონი, რომელიც ჯარისკაცებს მონოლოგით მიმართავს: „ჩემო არწივნო, მამულის წმინდა სიყვარულმა ერთად შეგვყარა საბრძოლველად“.

ბაგრატიონის სახე იზიდავს და ხიბლავს შემდგომი თაობის მწერლების გულსა და გონებას. სლავიანოფილები კ. აქსაკოვი, შევირიოვი, ხომიაკოვი ეყრდნობიან რუსი მხედართმთავრების ღვაწლს „ზაპადნიკებთან“ კამათის დროს. მათი წარმოდგენით, სუვოროვი, კუტუზოვი და ბაგრატიონი იმიტომ არიან ესოდენ ძლევამოსილნი მტრებთან ბრძოლაში, რომ ისინი აღზარდა და გამოწრთვნა პეტრეს წინადროინდელი რუსეთის ტრადიციამ. ხომიაკოვის გამოთქმით, „ბაგრატიონმა ქარქაშიდან იშიშვლა ხმალი, რომლითაც რუსნი თათრებს სპობდნენ, ანადგურებდნენ“.

რუსეთის ისტორიულ გმირებს შორის ბაგრატიონი ერთ-ერთი, იმ დაუვიწყარ გმირთაგანია, რომელმაც შთააგონა ცნობილი პოეტი ტიუტჩევი, მიეძღვნა მისთვის აგზნებული ლექსი:

«Верь слову русского народа:
Твой пепл мы свято сбережем,
И наша общая свобода,
Как феникс, загорится в нем!».

თითქმის ყველა თვალსაჩინო რუსმა მწერალმა თავის მოქალაქეობრივ ვალად ჩასთვალა, აღენიშნა ბაგრატიონის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, ვაჟკაცობა, უსაზღვრო თავდადება და მისი ბევრი სხვა სიქველე. მაგრამ ბაგრატიონის ყველაზე დამთავრებული და ჭეშმარიტად მხატვრულად დასრულებული განსახიერება მოგვცა ლევ ტოლსტოიმ თავის გრანდიოზულ ეპოპეაში „ომსა და მშვიდობაში“. ამ გენიალურ ნაწარმოებში ბაგრატიონი გვევლინება უმამაცეს და უმტკიცეს მხედართმთავრად, რომელსაც შეუხორცებია თავისი ხალხის დიდი მორალური თვისებები — გულადობა, გამძლეობა და სულიერი სიმშვიდე განსაცდელის ჟამს. ლ. ტოლსტოი მკაფიო საღებავებით ხატავს ბაგრატიონს, რომელიც მშვიდად და დარბაისლურად ისმენს კუტუზოვის დავალებას: რადაც უნდა დაჯდეს შეაჩეროს ფრანგი ჯარის მოწოლა. იმავე ეპოპეაში ვხედავთ მას ღრმა ფიქრებში გართულს, ვხედავთ, როგორც სარდალს, რომელსაც ხელთ უპყრია მრისხანე ბრძოლის სადავე. უდიდესი ძალით გვიხატავს ტოლსტოი იმ სცენას, როცა ბაგრატიონი შენგრაბენთან ხელმძღვანელობს ბრძოლას და თავისი ვაჟკაცობით ჯარს აღფრთოვანებს.

უბადლო ოსტატობით, რამდენიმე შტრიხით გვიჩვენებს ტოლსტოი, თუ როგორ მოქმედებდა ბაგრატიონის ნებისყოფა ჯარისკაცებზე, თუ როგორ შეუპოვრად უმკლავდებოდნენ მისი სიმამაცით შთაგონებული ჯარისკაცები იერიშზე გადმოსულ მტერს ბოროდინოს ველზე.

მე-20 საუკუნის დამდეგს ისტორიული გმირების კულტმა რუსულ ლიტერატურაში თავისებური სახე მიიღო. სიმბოლისტებმა ვალერი ბრიუსოვმა, ინ. ანენსკიმ, ვიაჩესლავ ივანოვმა დიდ რუს მხედართმთავრებს მიმართეს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ცალკეულ ინდივიდუმთა უპირატესობა მასის წინაშე. ვიაჩესლავ ივანოვს აქვს დრამა, სადაც იგი კუტუზოვსა და ბაგრატიონს ალაპარაკებს პათეტიურ მონოლოგებს პიროვნების განუზომელ როლზე ისტორიაში.

სულ სხვაგვარად სდგას ისტორიულ პირთა დამსახურებისა და ღვაწლის დაფასების საკითხი საბჭოთა ლიტერატურაში. საბჭოთა მწერლები ღვაწლმოსილ ისტორიულ პირებს უყურებენ, როგორც ხალხის მაღალი მორალური თვისებების განმასახიერებელ გმირებს, რომელთაგანაც საბჭოთა ადამიანებმა უნდა ისწავლონ სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის. ბაგრატიონის საგმირო საქმეები და უბადლო სიმამაცე საბჭოთა მეომრების მისაბაძ ტრადიციად გადაიქცა, ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ მისი სახე თანდათან უფრო მეტი სიძლიერით ჟღერს საბჭოთა ლიტერატურაში.

ვ. სოლოვიოვი თავის პიესაში „ფელდმარშალი კუტუზოვი“ დიდი მღელვარებით წარმოგვისახავს ბაგრატიონს. ღრმა ექსპრესიით არის ასახული პიესაში უკანასკნელი წუთები ბაგრატიონისა, რომელიც ბოლომდე რჩება გაუტეხელი და მოუდრეკელი სულის რაინდად. სიკვდილის წინ ბაგრატიონი ამბობს: „დასანანია, რომ არ გინახავს საქართველო, ჩემო ვოლკონსკი! ცის ქვეშ არ არის სხვა ქვეყანა, უფრო მზიური და არც სამშობლო უფრო ძვირფასი“... ჯარისკაცებო, ხანგრძლივ ომებში ერთად ვიყავით, ერთად ვიბრძოდით, ქექა-ქუხილში და დენთის კვამლში ჩვენ გავიარეთ ათასი ვერსი... დასთმეთ სიცოცხლე, მაგრამ სამშობლოს და მის ღირსებას ნურვის დაუთმობთ!“.

პოეტი და დრამატურგი კ. სიმონოვი თავის პოემაში „სუვოროვი“ ბაგრატიონს გვიხატავს სუვოროვის ღირსეულ მოწაფედ, რომელმაც მოახდინა უმაგალითო გადასვლა სენგოტარდის უღელტეხილზე. პოეტი მეტად პლასტიურად წარმოგვიდგენს იმას, თუ როგორ წაუძღვა ბაგრატიონი ჯარს ამ მიუვალ სიმაღლეზე იერიშის მისატანად, თუ როგორ მოაპოვებინა ბაგრატიონის ნებისყოფამ და ვაჟკაცობამ რუს ჯარს ეს სახელოვანი გამარჯვება.

Все увидели: выше туч,
Край солнца зацепив штыками,
Там, где ни тропок, ни следов,
От ветра, как орлы крылаты,
Стоят на гребне синих льдов
Багратионовы солдаты.

პირსისხლიან ფაშისტ ბარბაროსებთან ეხლანდელ დიად სამამულო დღეებში ჩვენი დიდი წინაპრების — სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონის ნათელი სახეები შთააგონებენ წითელი არმიის მეომრებს უდრეკ ნებისყოფას, გაუტეხელ სიმტკიცეს ვაჟკაცური და გმირული საქმეების ჩასადენად. ბაგრატიონზე ბევრ მწერალს შეუქმნია ნაწარმოები, მაგრამ მისი სახე კვლავ მიმზიდველ სახედ რჩება ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი მწერლისათვის. ქართველი ხალხის დიდ საბრძოლო ტრადიციებზე აღზრდილი სახელოვანი მხედართმთავრის, გაუტეხელი რაინდის პეტრე ბაგრატიონის სრულფასოვანი მხატვრული გამოკვეთა, ამ ბუმბერაზი მეომრის ისე წარმოსახვა, რომ მან რომანების, მოთხრობებისა და პოემების ფურცლებიდან კვლავ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა ხალხის დიად ბრძოლაში, ჰიტლერიზმის სრულ განადგურებისა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, კვლავ რჩება პასუხსაგებ და შთამგონებელ ამოცანად, რომელიც სდგას ჩვენი საბჭოთა მწერლობის წინაშე.

ალექსანდრე იმედაშვილი

25 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ალ. იმედაშვილი.

ალ. იმედაშვილი დაიბადა თბილისში, ხელოსნის ოჯახში 1882 წ. ალ. იმედაშვილს ბავშვობიდანვე უყვარდა სცენა. მე პირადად ალ. იმედაშვილს 16-17 წლის ასაკიდან ვიცნობდი. ისე იყო ბავშვობიდანვე გატაცებული სცენით და განსაკუთრებით ლადო მესხიშვილის საუცხოვო თამაშით, რომ ჰამლეტის მონოლოგები ზეპირად იცოდა, ამასთან ლადოს ჩახლეჩილ ხმას ჰბაძავდა და ისე კითხულობდა ხოლმე ამ მონოლოგებს. იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ არ დაუმთავრებია. შემდეგ დაამთავრა ორ-წლიანი საბუხჰალტერო კურსები, თუმცა ბუხჰალტერად სულ არ უმუშავნია.

სასცენო მოღვაწეობა 1900 წელს დაიწყო. ამ წლის სექტემბერს ქართული დრამ. საზოგადოების გამგეობამ ვალერიან გუნიას მეთაურობით გამართა პირველი გამოსაცდელი წარმოდგენა. სხვებთან ერთად ალ. იმედაშვილმაც მიიღო მონაწილეობა წარმოდგენაში. დამსწრე საზოგადოებას ალ. იმედაშვილი ძალიან მოეწონა, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, და ამიტომ მაშინვე იქნა დასში ჩარიცხული. დასის ხელმძღვანელად და რეჟისორად ითვლებოდა ვ. გუნია. გუნიამ თურმე რამდენჯერმე შესთავაზა უმნიშვნელო როლი, მაგრამ ალ. იმედაშვილმა უარი განაცხადა: არ უნდოდა ასეთ როლში გამოსვლა პირველად. პასუხსაგები როლი დელ-შუაზისა („ორ ჯიბვირში“) ვასო აბაშიძემ მისცა. ეს პირველი როლი იყო ამ სეზონში, რომელიც ალ. იმედაშვილმა ითამაშა. მეორე როლი ითამაშა აკაკის „პატარა კახში“—კახის როლი. ამის შემდეგ ალ. იმედაშვილი სცენას აღარ მოშორებია. მეორე სეზონში (1901-1902 წელს) ლადო მესხიშვილმა მიიწვია ქუთაისში, სადაც თვალსაჩინო როლებს ასრულებდა.

ალ. იმედაშვილს თავისი სასცენო მოღვაწეობის 41 წლის მანძილზე მრავალი როლი შეუსრულებია. ქართველ მსახიობებში ალ. იმედაშვილი პირველი მსახიობი იყო, რომელიც ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა და დიდხანს ამზადებდა კლასიკურ როლებს. კლასიკურ რეპერტუარიდან მას არც ერთი როლი არ უთამაშნია, რომელზედაც რამდენსამე წელიწადს არ ემუშავნოს. უბრალო, ზერელედ როლის თამაშობა ალ. იმედაშვილს არ უყვარდა. მის მიერ შესრულებულ როლებს ყოველთვის ეტყობოდა დიდი დაკვირვება და მუშაობა.

ალ. იმედაშვილი თავისი სასცენო მოღვაწეობის პირველ დღიდანვე საზოგადოებას ძალიან უყვარდა, მაგრამ არტისტული სიმწიფის ატესტატი მაშინ მიიღო, როცა შეასრულა ოტელო. ეს იყო 1914-1915 წლის სეზონში. საზოგადოებაც და პრესაც დიდის აღტაცებით შეხვდა მას. ოტელოს შემდეგ კარგად ითამაშა კარლის როლი „ყაჩაღებში“. იგი ლადო მესხიშვილის განუყრელი პარტნიორი იყო პიესაში. ლადო ფრანცი, ხოლო ალ. იმედაშვილი კარლოსი. კარგი იყო იგი აგრეთვე „ოიდიპოს მეფეში“. ალ. იმედაშვილს თავის სასცენო მოღვაწეობის მანძილზე ამ სამი როლის მეტი რომ არაფერი ეთამაშნა, მაინც ქართული თეატრის დიდ მოამაგედ და დიდ არტისტად ჩაითვლებოდა, მაგრამ ამ სამი როლის გარდა მან ბევრი კარგი სახე შექმნა. მას ჰქონდა დრამატიზმით აღსავსე ხმა და საუცხოვო დიქცია. ალ. იმედაშვილი განთქმული იყო, როგორც ლექსის კარგი მკითხველი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ალ. იმედაშვილის მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ალ. იმედაშვილის დიდი ნიჭი და დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე. 1932 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1941 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ქუთაისის თეატრის 60 წლისთავის აღნიშვნისას საქართველოს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მას უბოძა საპატიო სიგელი. ქუთაისის მშრომელებმა იგი აირჩიეს ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

მადლიერი ქართველი ხალხი არ დაივიწყებს ალ. იმედაშვილის დიდ ღვაწლს მშობლიურ თეატრის წინაშე.

ნიკო გვარაძე

რესპ. დამსახურებული არტისტი.

ნიკო ქუმსიაშვილი

20 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ორხევში გარდაიცვალა ქართული საბჭოთა ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო არტისტი ნიკო ქუმსიაშვილი. მისი სიკვდილი ღრმა გულისტკივილს იწვევს ყველაში, ვისთვისაც ძვირფასია ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება.

ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართული ვოკალური ხელოვნების ზრდასთან არის დაკავშირებული, მისი დიდი ოსტატობა ნაყოფია იმ იშვიათი მზრუნველობისა, რომელსაც ხელოვნების ახალგაზრდა კადრებისადმი იჩენენ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ნ. ქუმსიაშვილი, როგორც მომღერალი, გამოჩნდა მაშინ, როცა ჩვენს საოპერო ხელოვნებას გამოაკლდა იშვიათი ხელოვანი, ქართული ოპერების შესრულების პიონერი — ვანო სარაჯიშვილი. იგი შესცვალა ნიკო ქუმსიაშვილმა და სწორედ ნიკოს მეოხებით ქართულ საოპერო თეატრს არ უგრძვნია ობლობა. ნიკო ქუმსიაშვილი ვანო სარაჯიშვილის ღირსეული შემცვლელი აღმოჩნდა. იგი იყო აბესალომის, მალხაზის და ნიკოს პარტიების შთამგონებელი და მგზნებარე შემსრულებელი. ნ. ქუმსიაშვილის ნიჭისა და ვოკალური ოსტატობისათვის დაუძლეველი არ აღმოჩნდა არც ევროპიული და რუსული ოპერების პარტიები. ამ მხრივაც იგი განაგრძობდა ვანო სარაჯიშვილის შესანიშნავ ტრადიციებს. ჩვენს მაყურებელს ნიკო მიაჩნდა ვანო სარაჯიშვილის მემკვიდრედ და განსაკუთრებული სიყვარულით და სიხარულით ადევნებდა თვალს მის შეუჩერებელ ზრდას.

საბჭოთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებული სიმპატიები ნ. ქუმსიაშვილისადმი იმასაც მიეწერება, რომ ნიკო შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე იყო; იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ იმ ასპარეზით, რომელიც მან სამოღვაწეოდ აირჩია, იგი ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი მწერლობის, ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ნაციონალური კულტურის განვითარებას და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის კულტურულ აღმავლობას, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა რა მუშებისა, კოლმეურნეებისა და წითელარმიელებისათვის გამართულ კონცერტებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოხატა მთელი ქართველი ხალხის მადლობის გრძნობა ნიკო ქუმსიაშვილისადმი, როცა მას ჯერ დამსახურებული არტისტის, შემდეგ საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა და შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ნიკო ქუმსიაშვილის დამსახურებას ქართული საოპერო თეატრის წინაშე, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს საბჭოთა მაყურებელი არ დაივიწყებს და ვანო სარაჯიშვილის გვერდით ყოველთვის მოიგონებს მისი ღირსეული მემკვიდრისა და შემცვლელის ნიკო ქუმსიაშვილის სახელს.

მ. კაკაბაძე

დავით აღმაშენებელი

ეპისტოლე სინანულისა *)

კონსტანტინე გამსახურდია

ლიპარიტის უბანში მეფის დაყოვნებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აღშფოთებულნი იყვნენ ხორეშანი და ვარდია, ლიპარიტისძეთა სასახლის სეფექალთა წინამდგომი.

მახარაი ყოველდღე უგებდა კაკანათებს ბულბულებს, მაგრამ ქორწილის გამო აღარაფერი ისმოდა. ეპისკოპოსები მონასტრიდან ფეხს არ იცვლიდნენ, მესათხევლენი ვეღარ აუდიოდნენ მათთვის დაჭერილ ხრამულისა და კალმახის ზიდვას. კატაისაც დიდი ჯაფა ადგა მათი მუცელღმერთობის დასაშოშმინებლად.

ისედაც გულშემოყრილი იყო ერისთავის მეუღლე. დედისიმედი გამომჯობინდა, აქიმნი განაზრახეს კატაიმ და ხორეშანმა: არამც და არამც არ დაენებებინათ ადგომა, რადგან კარგად იცოდნენ, მეფე აროდეს ინებებდა მწოლიარე ქალწულის სამყოფელში შესვლას, ხოლო უკეთუ ადგებოდა, უხერხულიც იქნებოდა არ ხლებოდა პატრონს.

გაოცებული იყო კატაი. მეფეს ისე ეჭირა თავი, ერთხელაც არ გამოუთქვამს უბრალო სურვილი ერისთავის ასულის ნახვისა.

ღამღამობით საზღვრების მოსახილველად მიჰყვებოდა იგი ქარიმან სეტიელსა და სპასალარებს, ხანაც ლიპარიტის უბანში დაბანაკებულ მარგვეთელ ლაშქარს, მესხ მოისართა და აფხაზ ცხენოსნებს სწვრთნიდა. სპათა დაწყობას ასწავლიდა, ხმლის ცემასა და ლახტის თამაშს, ბევრგვარ ბრუნებას შუბისას, ისრის თლასა და მშვილდის ჩაგდებას, ქარქაშის კარგად ჩაწყობას, შემართებულად ბრძოლას ხმლითა და ჰოროლითა, ხრამებზე ცხენების ხლტომას, სადავის გამორჩევას პირჩვილი და გამზიდარი ცხენებისათვის; ციხეების გარშემო ბლისკინათა გაწყობას და მათსავე გადალახვას ცხენდაცხენ. გაჭენებულ ცხენიდან ჩამოხტომას, ცხენის მუცლის ქვეშ მოქცევას მხედრისას, როცა მოისარი მტერი გამოუდგება ოტებულს, ცხენოსან ჯარისთვის ქვეითების მიერ თავის დაცვას, ხანდაკების ქარაფების და ხრამების გამოყენებას, ცხენიანად ცხენოსანთან, ხანაც ქვეითად ბრძოლას აღმხედრებული მტრის მიმართ.

ცნობის წადილისაგან იდაგებოდა კატაი. არავინ იცოდა, რას აპირებდა მეფე. თვით ავყია მახარაი ყოველდღე იჭერდა ბულბულებს, მაგრამ ნანატრი ქორწილის გამო არავის უმხელდა რაიმეს.

გვარამ ერისთავს თვალები დაექანცა მალემსრბოლის ცდისაგან. ზაიბური არ ისმოდა არც გეგუთიდან, არც ნაჭარმაგევიდან. ერთ საღამოს მეფემ აიყოლია გვარამ ერისთავი და სპასალარები. კოჯრის ციხეს გასცდნენ, ტფილისის საამიროს სამანებამდის იარეს ცხენდაცხენ. ბოლოს ქუჯაი შეაყენა გორის ცხვირზე მეფემ, ხელი მიიჩრდილა თვალზე და ბეჟისციხის პატრონს ეს უთხრა:

„კოჟრიდანაც კარგი ასაღები იქნება ტფილისი“.

გვარამ ერისთავმა ცხენი დასძრა, მეფეს ამოუდგა გვერდით და სთქვა:

„პირველად ისნიდან აიღო ტფილისი ბაგრატ კურაპალატმა. ისნიდან მოადგინა შიდა ქართლელნი მოისარნი, ჰერეთისა და აფხაზეთის ლაშქარნი. ლიპარიტ დიდი თან ახლდა პატრონს.

ორ წელს აშიმშილა ქალაქი. აფხაზთა მეფემ გამოსტაცა ამირა ჯაფარ ალის-ძეს ორბეთი და ფარცხისი. დაფრთხა ტფილისის ამირა, ღამით აპირებდა ნავტიკებით განძისაკენ გაპარვას, მაგრამ მსტოვარმა ამბავი მოუტანა მეფეს: სელჯუკიანთა ჯარები უკვე შემოჭრილიყვნენ სომხეთში. მეფემ ლიპარიტის უკითხავად ალყა შემოხსნა ქალაქს და აფხაზეთს წაბრძანდა ლაშქრითურთ. განრისხდა ლიპარიტ და გახდა ქვეგამხედვარი მეფისა.

სპასალარებიც მიეახლნენ დავითს. შერგილ ლიპარტიანმა სთქვა:

დიღუამიდან აჯობებდაო ქალაქის აღება.

დიალაცო, დაამოწმა გვარამ ერისთავმაც.

„სულკურთხეული მამიჩემისგან მაქვს განაგონი,—სთქვა გვარამ ბეჟისციხის პატრონმა:—„როცა ტფილისის ამირა ჯაფარი მიიცვალა, ქალაქის ბერები ეახლნენ მეფეს და უქადეს ტფილისი. ბაგრატ მეფე აიყარა ანაკოფიიდან. დიღუამში შემოეგებნენ პატრონს ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღუამის ველისა. ყოველი ერი ქვეითი და ცხენოსანი წინ დაუხვდნენ მეფეს. იყო ცემა ბუკისა და დუმბულისა ქალაქში და აჰყავდათ ფსალმუნების გალობით მეფე და ასხმიდნენ დრაჰკანსა.

მოართვეს ციხეთა კლიტენი, საამიროს დარბაზში ტახტი დაუდგეს და თაყვანისცეს პატრონს.

ბაგრატ კურაპალატმა აიღო ციხე დარიჯელი, ორივე კოშკნი წყალყინისა და თაბორისანი, ერისთავნი დაადგინა შიგ, ისანში თურქის ჯარი დარჩენილიყო. ჩააგდეს მტკვრის ხიდი. მეფემ დაუდგა ფილაკავანნი. ბრძოდა ისანსა და ესროდა ისარსა“

ლიპარიტის უბანში შემოიქცნენ მეფე და ტაძრეული კვლავ. გვარამ ერისთავი ღელავდა. მეორე დღეს მარგვეთელნი ლაშქარნი აიყოლია დავითმა. გვარამ ერისთავი არ წარიტანა თან, ლიპარიტის სასახლეში დარჩენილმა ბეჟისციხის პატრონმა ასე დაასკვნა:

ალბათ, ტფილისის ასაღებად ემზადებაო პატრონი.

სწუხდა მოხუცებული ერისთავი: რად არ მიმხელსო გულის ნადებს მეფე დავითი?

მახარაი შემოიჭრა დარბაზში. დიდხანს ესაუბრა გვარამს ეპისკოპოსების გულისწყრომის გამო, დასცინოდა „ლიპარიტის ოჯახისა და ქრისტიანული ზნეობის ქომაგთ“.

„კირიონ მანგლელიც გადაიბირეს ეპისკოპოსთა,—სთქვა მახარაიმ.—გუშინ შევუსწარი ცხრა ეპისკოპოსთან მოსაუბრე მანგლელს, იგინი ხმამაღლივ კიცხავდნენ მეფეს, უხერხულიაო პატრონის დაყოვნება ლიპარიტის ოჯახში უკვე“.

ამბობდა ურბნელი.

კირიონ მანგლელმა კვერი დაუკრა, მეც არ მომერიდა ისე განაცხადა:

ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არავის ხელმწიფებასა ქვეშე არიანო“

* * *

მეორე დღეს მეფე და ლაშქარნი მობრუნდნენ ლიპარიტის უბანში. გვარამ ერისთავმა სული მოითქვა. კიდევ ერთი დღე და იგი თავათ აპირებდა გეგუთს წასვლას გიორგი ჭყონდიდელთან, რათა ვაზირთა უპირველესი ეხმო და არ დაენებებინა ჭაბუკ მეფისათვის გიორგი მეფისა და დარბაზის ერთა უკითხავად ტფილისის შემოწყობა, დარწმუნებული იყო გვარამი, ქორწინების საქმეებსაც გამოარკვევსო ვაზირთა უპირველესი.

საღამოს ჯონდი ერისთავი ჩამოვიდა. მას აზნაური მორკნეველი დაეტოვებინა თავის შემცვლელად კლდეკარის ციხეში, ხოლო თავათ ეპისტოლე ჩამოეტანა, ლიპარიტის ხელით დაწერილი. წიგნი კირიონ მანგლელის სახელზე იყო. ჯონდის ვერც გაეხსნა გრაგნილი და ვერც მანგლელისათვის გაეგზავნა მეფის უკითხავად.

დიდხანს ითათბირეს მეფემ და თაკვერის ერისთავმა თრიალეთის საერისთაოს საქმეთა გამო. მახარაის წამოსცდა გვარამ ერისთავთან: წიგნი გამოგზავნაო დილეგიდან ლიპარიტ ამირამ. ყური სცქვიტა ბეჟისციხის პატრონმა: ეგებ ამ წიგნმა გახსნასო ვაგლახად დაბურდული გორდისეული კვანძები. მახარაი შეავგულიანა: შედი და გაიგე, რას იწერებაო ტყვე ლიპარიტი?

მახარაის თავათაც აჩრჩობდა ცნობისწადილი. არც აცივა და არც აცხელა, უკითხავად შეაღო დიდი დარბაზის კარი.

„როდის გამოგიგზავნა ეს წიგნი ლიპარიტმა?“—შეეკითხა თაკვერის ერისთავს მეფე.

„გასულ შაბათს მოწესე მოითხოვა ლიპარიტმა,—მიუგო ჯონდიმ.—მოწესე წარვგზავნე დილეგში. მობრუნდა ითამამ ხუცესი ეტრატსა და საწერელს ითხოვსო ტყვე ერისთავი.

საწერელთმპყრობელნი წარვგზავნე, ეტრატიც გავატანე თან. მერმე ის იყო ეგ წიგნი გამოგზავნა ამირამ“.

მეფემ გრაგნილი გამოართვა ერისთავს, ტვიფარით დაბეჭდული იყო იგი. აუხირდა მახარაი პატრონს: ჯერ შენ წაიკითხე, რასა სწერსო ლიპარიტ ამირა მანგლელს?

დაბეჭდული წიგნი და მოზიდული მშვილდი ორივე თანაბრად საშიშიაო ხშირად.

არა ჰქნა პატრონმა, გაუღიმა მახარაის და თავათ იგი წარგზავნა მანგლელის სახმობლად.

როცა კირიონ მანგლელი და მამაი ბასილი დიდ დარბაზში შემოვიდნენ, მეფე ზე არ ამდგარა, ოქროჭედილი სელები დაადგმევინა ჯონდი ერისთავს მათთვის. მომნუსხველი მზერა ესროლა მანგლელის დაღეულ სახეს, ამ წუთში მოაგონდა მისი ნათქვამი, მახარაის მიერ გადმოცემული: „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქვეშ არიან“. და ამ ჩიაკაცის აღგზნებულ შემოხედვაში მართლაც იგრძნო უცნაური ძალა იშვიათი ნებისკაცისა.

იჯდა ოქროჭედილ სელზე ეს გაფითრებული, ამაყი და გულზვიადი ბერი, ღამესავით შავს მზერაში გიზგიზებდა დიდზე უდიდესი თავმოთნეობა და შეგნება საკუთარის ძალმოსილებისა.

ახლა მეორე შავოსანს ესროლა დავით მეფემ მზერა. დიდებულებას ამჟღავნებდა მისი ლომისებრი ფაფარი, მაღალ შუბლზე გარსმომდგარი, ჰავლისებრ დაგრაგნილი, გრძელი წვერი, ახოვანი მხარბეჭი, დიდრონი, ჰკვიანი თვალები, რომელნიც ნებიერად სთვლემდნენ შავი წამწამებისგან შემოგარსულ უპეთა შორის.

ორივეს მაგრად ჰქონდათ მოკუმული თხელი და გაფითრებული ტუჩები. მიუხვდა გულთმისანი მეფე, მათ გუნებაში იმ წუთს ღიმღამობდა აზრი: ალბათ, მახარაიმ დაგვასმინაო, და ქვეშეცნეულად ემზადებოდნენ თავდაცვისათვის ორივენი მტკიცედ.

მეფემ ტაბაკზე დადებულ გრაგნილს დახედა. ოთხი თვალი შავოსნებისა მიაშტერდა მასვე. მერმე დინჯად დასწვდა პატრონი თავის მშვენიერი, გრძელი თითებით იმ გრაგნილს, კვერთხივით დაიჭირა ხელში და ეუბნება კირიონ მანგლელს:

„წიგნი მოგსვლია კლდეკარიდგან, მამაო“.

კირიონ მანგლელის სმენაში უსიამოდ გაიშხუილეს ამ სიტყვებმა (განსაკუთრებით უკანასკნელთა). მან მყისვე შენიშნა ამ წინადადებას კიდევ ერთი სიტყვა აკლდა, რადგან კარგ გუნებაზე მყოფი მეფე მას ნიადაგ აგრე მიმართავდა: „მამაო სახიერო“.

ბინდისფერმა გადაურბინა სახეზე კირიონს, კომშისფერი ლაწვის თავები წამოუწითლდა. ელვისებრი სისწრაფით გაიელვა მის გულში ასეთმა აზრმა: ალბათ, ღვთის მიერ შთაგონებულმა, მონანიებულმა ერისთავმა შეიცნო ჩემი თანადგომის წადილი, ვინ უწყის, ეგებ ამიტომაც მეფის საავგოს რაიმეს მწერდესო.

გადაფითრდა, ისევ აენთო, დამჭკნარი ხელები წაეპოტინენ გამოწვდილ გრაგნილს.

სტრიქონებს ორგზის გადაურბინა მისმა გამალებულმა მზერამ. დავითმა თვალი შეასწრო, თუ როგორ გადაეყარა მის ლაწვის თავებს სიწითლე და ის უმცირესი, ქრთილის ფესვების დარი მოწითანო ძარღვები, რომელნიც ცხვირსა და საფეთქლებზე აჩნდნენ მანგლელს, უკვე აღარ ღვივოდნენ მღელვარებისაგან. სახე დაუმშვიდდა მღვდელმთავარს, რაკი დარწმუნდა, რომ ლიპარიტ ერისთავი იმის მეტს არაფერს იწერებოდა, რაც მიუცილებლად საჭირო იყო მისივე გადარჩენისაგან იმ ჟამად (რა თქმა უნდა, კირიონ მანგლელის აზრით).

ბოლოს თვალი გაუმართა მანგლელმა მეფეს. მის უკან მდგარს, იმ „სძაგელ ქარიმან“ სეტიელსაც ესროლა შემპარავი მზერა (წინასწარ დარწმუნებულმა, როგორც ქონდაქართუხუცესს, ისე მის პატრონს წაკითხული ექნებათო ეს წიგნი). უკან დაუბრუნა დავითს ლიპარიტის მიერ გამოგზავნილი ეპისტოლე და ეჯა: წააკითხვინეო ეგ წიგნი, მეფევ ბატონო, ვისმეს.

დავითმა დაჰხედა გადაშლილ გრაგნილს, ლიპარიტის ხელი შეიცნო, ისეთის გამომეტყველებით, თითქოს თავათ არ შესძლებოდა წაკითხვა, ჯონდი ერისთავს კი არა, რომელიც მხარმარჯვნით იდგა გახევებული მის გვერდით, მახარაის გაუწოდა იგი, ოქროს ტაბაკის ბოლოს მჯდარს.

ქოსამ მღელვარება ვეღარ დაფარა, ზეწამოიჭრა, ორივე ხელით გაშალა გრაგნილი ტაბაკზე, ცხვირი ჩარგო შიგ და თავისი ხრინწიანი ხმით დაიწყო ამოკითხვა:

„მე ესე, ლიპარიტ ივანესძე ბაღუაში, მანქანებითა ეშმაკისათა განდგომილი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაგან და შევრდომილი სჯულის სარკინოზთასა, მოვე რა თავსა თვისსა, მოვილტვი სარწმუნოებისა მიმართ ქრისტეანეთასა, არა იძულებისა რაიმესამე ანუ ჭირისაგან“ (ამ სიტყვების ამოკითხვისას ღიმილმა გადაურბინა წამკითხველს სახეზე, ჯონდის ტუჩპირის კუთხეში მოადგა იგივე, მაგრამ თავი შეიკავა თაკვერის ერისთავმა) და დიაკვნური კილოთი განაგრძო ქოსამ:

„არცა ზაკვითა, ანუ ჩემებითა, არამედ ყოვლითა სულითა და გულითა წმიდითა და უზაკველითა და ქრისტეს სარწმუნოების შეყვარებითა; ვიჯმნი სარკინოზთა სარწმუნოებისაგან და შევაჩვენებ მაჰმადსა, რომელსაც პატივსა სცემენ სარკინოზნი, ვითარცა მოციქულსა ღვთისასა და წინასწარმეტყველსა. და ალისა, და ჰასანსა და ჰუსენსა, და აბუბეკრსა, და ომარსა, და მოავის, და აბდალაჰს, და სხვათა ყოველთა თანამდგომთა და თანაშემწეთა და მონაცვლეთა მაჰმადისათა და წიგნსა მასცა, რომელსა იგი ყურან ეწოდების, და ყოველთა სჯულისდებათა, მოძღვრებათა და გმობათა მისთა“.

როცა მახარაიმ კითხვა მოათავა, გაბრწყინებული მზერა ესროლა მანგლელმა დავითს. მოხუცის წვრილი, მოლაპლაპე თვალები ამაოდ ეძებდნენ მის სახეზე თუნდაც ქრთილისოდენა ნიშანწყალს სიხარულისას, მაინც წელგამართულმა შეჰკადრა პატრონს:

„აკი მოგახსენებდით, მეფევ ბატონო, მეცა, სინანულმა შეიპყრო მეთქი კლდეკარის ერისთავი“.

მეფეს ეხამუშა ეს გამოთქმა „კლდეკარის ერისთავი“, რომელიც მუდამ შეიცავდა ერთგვარ დვრიტას გულზვიადობისას ლიპარიტისძეთა წოდებაში. ტაბაკს დაჰხედა და არა მიუგო რა.

და ეს დუმილი თანხმობად ჩამოართვა მღვდელმთავარმა მეფეს და პათეტიური ღაღადისით წარსთქვა, სავსებით დარწმუნებულმან: ძალნი უჩინონი და ზესთაბუნებრივნი ამ სიტყვებს ამცნობდნენ ჯაჭვებით დაბმულ, მონანიებულ ერისთავს:

„იგიც დაწერილ არს მეფევ ბატონო, როცა გზას ჭეშმარიტს აცდენილი ქრისტეანი ესოდენ გულწრფელ სინანულს გამჟღავნებს, მას მღვდელმთავარნი, გინა მოწესენი მიუგებენ ხოლმე კურთხევანის ლოცვით:

„მიუტევენ, უფალო; მონანულსა ამას უსჯულოებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი, გონებითნი და უგუნურებითნი, გარდასვლანი და ურჩებანი სჯულისანი, რომელ ჰყო მძლავრებითა ეშმაკისათა“ (როცა ეს უკანასკნელი სიტყვა წარსთქვა მანგლელმა, მამაი ბასილიმ მახარაის გადახედა, სავსებით დარწმუნებულმან, რომ მართლაც და მახარაი იყო ეშმაკის მოციქული, რომელმაც ამბოხი შემოიტანა ქრისტიან მეფისა და ერისთავის ურთიერთობაში).

ამასობაში ხმამაღლივ დასძინა კირიონ მანგლელმა:

„შესცდა და გცოდა სიტყვით ანუ საქმით, გულის სიტყვით და მოგონებით“.

მეფემ ზედიზედ დააფახალა თავისი გრძელი წამწამები, ჯერ გაიხედა სარკმლიდან, საიდანაც მოსჩანდა ლიპარიტის სასახლის სავარდე, მერმე თვალი გაუსწორა ორივე მღვდელმთავარს და ბრძანა:

„ეგ ეპისტოლე ჯერ არაფერს ამბობს ჩემთვის საგულისხმოს, მამაო, რადგან ლიპარიტ ერისთავი მაშინაც ღალატობდა ტახტსა და მამულს, როცა ეკლესიებს აგებდა იგი და მუხლმოყრილი ევედრებოდა სამეფოს დაქცევისათვის მაცხოვარს“.

ესა სთქვა, ადგა და სავარდეში გავიდა მარტოკა.

სახტად დარჩნენ მანგლელი და მამაი ბასილი. ეს უკანასკნელი ნუგეშიც გაეცალათ ორივეს ხელიდან. მანგლელი დარწმუნებული იყო, ლიპარიტის მორჯულება გულს მოულბობდა მეფეს, იგი ხელს აიღებდა თრიალეთის საერისთავოს შემომტკიცებაზე. ამ შემთხვევაში როგორც კირიონი, ისე დანარჩენნი ეპისკოპოსნი კრინტსაც არ დასძრავდნენ ბაგრატოვანთა და ბაღუაშთა დამოყვრების გამო, რატის შემოირიგებდნენ და არც ხუცთა მოყვარულ კვირიკე მეფეს გაუხდებოდა სადავოდ ტახტი. ყოველივე მშვიდობით წარიმართებოდა, ეპისკოპოსებს თავთავიანთი სამწყსონი შერჩებოდათ, ლიპარიტ ერისთავს — თრიალეთი, ხოლო კვირიკესა და აღსართანს —კახეთ-ჰერეთი საუფლოდ.

მახარაიმ დიდხანს უყურა კირიონ მანგლელის ვაგლახად მოდრეკილ ზურგს და როცა ლიპარიტის მესაწოლე ბერმა, ზარგარელმა კარი გაიხურა მის უკან, ქარიმანსა და ჯონდი ერისთავს ეუბნება მახარაი:

„მეფეს არამც და არამც უფლება არა აქვს სულგრძელობაში გაეჯიბროს მამა ღმერთს, რადგან უფალს სულნი აბარია ჩვენი, ხოლო მეფეს სულიცა და ხორციცა“.

---

*) ნაწყვეტები მეორე კარიდან.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9792